გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

14 თებერვალი 2024

N 2-144

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 ნოემბრის N2-926 ბრძანების, 2019 წლის 8 ივლისის N2-626 ბრძანების, 2019 წლის 13 ნოემბრის N2-1094 ბრძანებისა და 2020 წლის 13 ნოემბრის N2-1051 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 1 თებერვლის N21/839 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტში, დაბა კაზრეთში სს „RMG Copper-ის“ ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 16 ნოემბრის N2-926 ბრძანება;

ბ) ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაბა კაზრეთში სს „RMG Copper“-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 8 ივლისის N2-626 ბრძანება;

გ) „ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაბა კაზრეთში სს "RMG Copper"-ის მადნის გამამდიდრებელი ფაბრიკის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ტექნიკური გადაიარაღება) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 13 ნოემბრის N2-1094 ბრძანება;

დ) ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სს „RMG Copper“-ის სპილენძ–პოლიმეტალური კარიერის ფუჭი ქანების სანაყაროებიდან დრენირებული დაბინძურებული წყლის გამწმენდი ნაგებობების მოწყობა-ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 ნოემბრის N2-1051 ბრძანება.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრ, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და სს „RMG Copper“-ს.

3. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს სს „RMG Copper“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. ამ ბრძანების გამოცემიდან 2 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში

ოთარ შამუგია

მინისტრი

კვალიფიცირებული ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE •